მარიამ დიდებულიძე
მზია ჯანჯალია

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა

იერუსალიმის ჯვრის მონასტერს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ეკლესია-მონასტრებს შორის, რომლებიც წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ჯვრის მონასტრის ტაძარში შემონახულია ადრექრისტიანული ხანის იატაკის მოზაიკის ნაშთები, სხვადასხვა პერიოდში შესრულებული კედლის მხატვრობა და გვიანი შუა საუკუნეების მრავალრიცხოვანი ხატები. წმინდა მიწის ექსპედიციის სამუშაო პროგრამაში საგანგებო ყურადღება სწორედ კედლის მხატვრობის შესწავლას დაეთმო.

ეს მოხატულობა დიდი ხანია იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ცნობები მის შესახებ და მოხატულობის ჩანახატები თუ ფოტოები მოიპოვება ტ. გაბაშვილის, ნ. ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარლის, პ. კონჭოშვილის, ნ. მარის, ნ. კონდაკოვის ნაშრომებში. სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ მოხატულობას ა. ბაუმშტარკმა. იგი მოხსენებულია შ. ამირანაშვილის ნაშრომში ქართული ხელოვნების შესახებ. ამ მოხატულობას ისტორიულ პირთა გამოსახულებების თვალსაზრისით განიხილავენ კ. კეკელიძე და პ. ინგოროყვა. ამავე კუთხითაა იგი განხილული ს. კაკაბაძისა და ე. მეტრეველის ნაშრომებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის 1960 წელს ქართველ მეცნიერთა მიერ (ა. შანიძე, გ. წერეთელი, ი. აბაშიძე) იერუსალიმში მოგზაურობიდან ჩამოტანილი მასალა, რომლის საფუძველზე გამოიცა თ. ვირსალაძის მონოგრაფიული ნაშრომი. ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობას სწავლობს გერმანელი მეცნიერი გ. კიუნელი, ხოლო ბერძენმა მეცნიერმა ვ. ცაფერისმა გამოსცა ბუკლეტი მოხატულობის აღწერითა და ფერადი ფოტოებით.

გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და არსებითია ქ-ნ თ. ვირსალაძის გამოკვლევა. მკვლევარს, სამწუხაროდ, ადგილზე არ უნახავს მხატვრობა და მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აღწერების, შავ-თეთრი ფოტოებისა და გ. პატარაის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის მიხედვით მსჯელობდა მასზე. მიუხედავად ამისა, მან გამოყო და სწორად დაათარიღა მხატვრობის ორი ფერწერული შრე და ზუსტად დაახასიათა ეს ძეგლი. ამის გარდა, თ. ვირსალაძის წიგნში თავმოყრილია მოხატულობასთან დაკავშირებული ისტორიული ცნობები, სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებათა მიმოხილვა, მოცემულია გამოსახულებათა და იმ ფრაგმენტების აღწერა, რომლებიც დღეს ფაქტობრივად აღარ არსებობს. სამწუხაროდ, ქართველ ხელოვნებათმცოდნეთათვის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის სათანადო მეცნიერული შესწავლა ადგილზე დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო. ექსპედიციის წევრთა ერთკვირიანი მუშაობის მიზნად სწორედ ამ ხარვეზის შეძლებისდაგვარად შევსება და მოხატულობის პირველადი შესწავლა დაისახა.

ექსპედიციის შედეგად გამოიკვეთა შემდგომი კვლევის კონკრეტული მიმართულებები და პრობლემატიკა, რაც ფილოლოგების, ისტორიკოსების, პალეოგრაფების, მხატვრობისა და არქიტექტურის ისტორიკოსების ერთობლივ მუშაობას გულისხმობს. ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა მიერ მოხდა მხატვრობის მიზანმიმართული დათვალიერება-აღწერა,

1. ჯვრის მონასტრის ტაძრის ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთისაკენ (ფოტო დ. ცხადაძის)



2. წმ. იოანე დამასკელი. XVI ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

გაკეთდა ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაცია. საგანგებო ყურადღება მიექცა იმ სტილისტურ თუ ტექნოლოგიურ დეტალებს, რომლებიც მოხატულობის თარიღის დასადგენად არის მნიშვნელოვანი. მოხდა მხატვრობაში გვიან ჩარევათა დიდი ნაწილის იდენტიფიკაცია და მათი ხასიათის განსაზღვრა.

ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის სტილისტური ანალიზი და, შესაბამისად, სხვადასხვა ფენის იდენტიფიცირება და დათარიღება ძალიან ძნელდება მისი დღევანდელი მდგომარეობის გამო: მრავალგზის გადაწერილი და გაცხოველებული, "შესწორებულ-გალამაზებული" მოხატულობის ნაწილი თავდაპირველი სახით აღარ გვევლინება. ამიტომ მხატვრობის ტექნიკური კვლევის ჩატარებამდე ზოგი საკითხი კვლავ ღიად, ჰიპოთეზების დონეზე დარჩება.

მეცნიერთა შორის არის აზრთა სხვადასხვაობა ფერწერული ფენების დათარიღების შესახებ. ა. ბაუმშტარკი, თუმცა ძირითადად იკონოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, მიუთითებდა გარკვეულ ქრონოლოგიურ სხვაობას სხვადასხვა ნაწილებს შორის და XI-XII სს-ითაც კი ათარიღებდა ცალკეულ ფრაგმენტებს. ამ აზრს შ. ამირანაშვილიც იზიარებდა. გ. კიუნელი მთელ მოხატულობას ერთ პერიოდში, კერძოდ კი XVII ს-ში შესრულებულად მიიჩნევს და განსხვავებებს მხოლოდ ოსტატთა ხელწერის სხვადასხვაობით ხსნის. მხოლოდ სამხრეთ თაღთან შერჩენილ ერთ ფრაგმენტს მიიჩნევს იგი XI ს-ის მოხატულობის ნარჩენად. ქ-ნი თ. ვირსალაძე დამაჯერებლად განასხვავებს XIV და XVII ს-თა მხატვრობას. ჰ. სვარცენსკი ბოსტონის მუზეუმში დაცულ ფრაგმენტებს XI ს-ით ათარიღებს. ქ-ნი ე. მეტრეველი, ჯვრის მონასტრის აღაპების შესწავლის საფუძველზე, შოთა რუსთაველის პორტრეტის შესრულების თარიღად XII-XIII სს-თა მიჯნას მიიჩნევს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ იგი გადაწერილ იქნა XIV ს-ში, ხოლო მისი წარწერა XVII ს-ში განაახლეს.

ექსპედიციის წინასწარი შედეგები მოხატულობის შესახებ აქამდე გამოთქმული მოსაზრებებისაგან რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა. მოხატულობის სტილისტურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ კედლის მხატვრობაში შესაძლებელია სამი ქრონოლოგიური ფენის გარჩევა. ერთი უდავოდ პალეოლოგოსური სტილის მხატვრობაა, XIV ს-ისა, მეორე უდავოდ XVII ს-ის, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროინდელი (ამ ჯგუფში რამდენიმე ოსტატის ხელწერა გაირჩევა), როგორც ამას ასაბუთებდა თ. ვირსალაძე.

მხატვრობის დაკვირვებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ ორი ქრონოლოგიური ფენისაგან ბევრი ნიშნით სხვაობს სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის მხატვრობა, ანუ მოხატულობის ის ნაწილი, სადაც შოთა რუსთაველისა და სხვა, დღემდე შემორჩენილი ვოტივური გამოსახულებებია მოთავსებული და სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის ამჟამად ჩამოხსნილი ფრაგმენტი, რომელიც ახლა სამხრეთის კედელზე კიდია.

3. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთი წახნაგის მოხატულობა. XVI ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

კომპოზიციურად, ფიგურების დაყენების მანერით, ფიგურათა პროპორციებით ეს გამოსახულებანი განსხვავდება XIV ს-ის ფრაგმენტებისაგან. ამ უკანასკნელებში წყვილადი ფიგურები მკაცრად ფრონტალურია, ძალიან დაგრძელებული პროპორციებისა, თხელი და სიფრიფანა, ფერწერული დამუშავების მანერაც წმინდა პალეოლოგოსურია, ჭარბობს სუფთა, ნათელი, მჟღერი ფერები, სახეთა და ფიგურათა დამუშავება წვრილი, ბასრი ხაზებისა და გამოთეთრებების მწყობრ სისტემაზეა აგებული. ფრაგმენტებში ვოტივური გამოსახულებებით, პირიქით, თავისუფლად მდგომი წმინდანები ერთმანეთისაკენ შეტრიალებულად არიან გამოსახულნი, მათ უფრო დამჯდარი პროპორციები აქვთ და უფრო "მასიურნი" ჩანან. კოლორიტი უფრო მუქი და "ჩამქრალია", ფორმათა დამუშავება უფრო ფართო ფერწერული მონასმებით იქმნება.

ამავე დროს, ეს ფრაგმენტები XVII ს-ის მხატვრობისგანაც ძალიან განსხვავდება. XVII ს-ის მხატვრობაში თვალში საცემია ფერთა "ყრუ" ჟღერადობა, ერთგვარი "მონოქრომულობა" ყავისფრის, ნაცრისფრის, ოქრის სიჭარბით. ფორმის დამუშავება საღებავის სქელი "ცომისებური" ლაქებით, განათებული და ჩაჩრდილული ნაწილების მკვეთრი კონტრასტით ხდება; საკმაოდ მოუხეშავია ნახატი, პოზებიც თითქოს გაყინული ან გაუმართავია, არაბუნებრივი. ამ ფიგურებს უდავოდ აკლიათ ის მონუმენტურობა და დიდებულება, რაც სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ფიგურებს გააჩნიათ, რომლებიც ამჟამინდელი გადაწერილ-განახლებული სახითაც კი, უფრო XVI ს-ის კრეტულ-ათონურ მოხატულობებს ემსგავსება.

შესაბამისად, მხატვრობის ამ ნაწილის დათარიღება XVI საუკუნითაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთ ბურჯზე ისევე, როგორც ინტერიერის სხვა მონაკვეთებში, დადასტურდა მოხატულობის ქვედა ფენის არსებობა (ზოგან ორისაც კი). ხოლო ეს დეტალი კიდევ უფრო სავარაუდოს ხდის, რომ შოთა რუსთაველის საყოველთაოდ ცნობილი და ესოდენ საკამათო გამოსახულება, შესაძლოა, ბევრად ძველ, დაახლოებით ქტიტორის დროინდელ გამოსახულებას იმეორებდეს.

აღსანიშნავია, რომ წმინდა მიწაზე ვოტივური გამოსახულებების ტრადიცია არსებობდა (ბეთლემის შობის ტაძრის სვეტების XII ს-ის ფრესკები), მაშინ როდესაც ქართულ მხატვრობაში ის არ გვხვდება, გვიანი შუა საუკუნეების ხატებს თუ არ ჩავთვლით. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ჯვრის მონასტრის ტაძრის მომხატველებს ამ ტრადიციის გავლენით შეესრულებინათ შოთა რუსთაველისა და სხვა ქტიტორების მცირე ზომის ვოტივური ფიგურები წმინდანების დიდი ზომის ფიგურათა ფერხთით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვოტივური პორტრეტები გამოსახული პირის სიცოცხლეშივე სრულდებოდა ხოლმე, ძალაუნებურად გვახსენდება ჩვენს ისტორიაში მოხსენებული ფაქტი თამარ მეფის დიპლომატიური მოლაპარაკებებისა სალადინთან ჯვრის მონასტრის ქართველთათვის შენარჩუნების თაობაზე, რასაც, შესაძლოა, გარკვეული აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაც მოჰყოლოდა და სწორედ იმ დროს შეიძლებოდა შოთა რუსთაველიც ჩასულიყო წმინდა მიწაზე.

ასე რომ, მოხატულობაში შეიძლება გამოვყოთ სამი ქრონოლოგიური ჯგუფი:

I. ჩრდილო-დასავლეთი (გარდა ჩრდილოეთი წახნაგისა) და ჩრდილო–აღმოსავლეთი ბურჯებისა და აფსიდის პილასტრების მოხატულობა. (პალეოლოგოსთა დროინდელი, XIV ს-ის);

II. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის დასავლეთი და აღმოსავლეთი წახნაგების მოხატულობა (ასევე ამჟამად სამხრეთ კედელზე ჩამოკი-

4. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთი წახნაგის მოხატულობა. XVI ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

5. წმ. იოანე ნათლისმცემელი. XIV ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

დებული ფრაგმენტი) შოთა რუსთაველისა და სხვა ვოტივური გამოსახულებებითურთ (სავარაუდოდ XVI საუკუნისა);

III. XVII ს-ში შესრულებული დასავლეთი კედლის, აფსიდისა და ბემის მოხატულობა, აგრეთვე დანარჩენი ბურჯების წახნაგებისა და თაღების მოხატულობა. ამ ბოლო ჯგუფში შესრულების მანერის მიხედვით რამდენიმე ქვე-ჯგუფი გამოიყოფა. ამავე ჯგუფს განეკუთვნება მარიამ დედოფლის გამოსახულება საკურთხევლის პილასტრზე მაცხოვრის ფიგურის ფერხთით (XIV ს.), რომელიც ამჟამად ნაწილობრივ "ამოჭრილია" და სრულად მხოლოდ ფოტოებზე არის შემორჩენილი.

მონასტრის ისტორიაში დაფიქსირებულია რამდენიმე ეტაპი, როცა იქ აღმშენებლობა-განახლება მიმდინარეობდა და, შესაბამისად, კედლის მხატვრობის შესრულება-განახლებაც ხდებოდა. თითქმის უეჭველია, რომ XI ს-ში ტაძრის აგებისას იგი მოიხატებოდა კიდეც, თუმცა ამჟამად ძნელი სათქმელია, როგორი იყო იმდროინდელი მოხატულობის შემადგენლობა, რამდენად იმეორებს ამჟამინდელი მხატვრობა ძველ პროგრამას. მეორე ისტორიულად დადასტურებული ფაქტი, რომელიც უკავშირდება მოხატულობას, არის XIV საუკუნეში მონასტრის დაბრუნება ქართველების მიერ და მისი მოხატვა. მესამე, ასევე დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ ტაძრის განახლება და თავიდან მოხატვა XVII ს-ში.

XVI ს-ში ტაძრის ან მხატვრობის განახლებასთან დაკავშირებული რაიმე დოკუმენტი ან თუნდაც გადმოცემა არ არსებობს, თუმცა ეს სრულიად არ გამორიცხავს ამის შესაძლებლობას.

ამჟამად ფერწერა შემორჩენილია ტაძრის აფსიდში, ბემაში, ბურჯებზე, თაღების სოფიტებში, დასავლეთი კედლის ქვედა ნაწილში. რამდენიმე ფრაგმენტი, როგორც ცნობილია, ჩამოხსნილ იქნა XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს და გაიყიდა. ისინი ინახებოდა კერძო კოლექციებში, საიდანაც რამდენიმე ფრაგმენტი ბოსტონის მუზეუმმა შეიძინა, რამდენიმე კი შეძენილ იქნა ქართველი მეცენატების მიერ (ს. ორჯონიკიძე, ბ. პატარკაციშვილი) და გადაეცა საქართველოს ეკლესიას. გარდა ამისა, მონასტერშიც არის შენახული კედლებიდან ჩამოხსნილი ფრაგმენტები, რომელთა დათვალიერება და შესწავლა არ მოხერხდა, ვინაიდან მათ საკონსერვაციო შრეები აქვთ დაკრული.

ასე რომ, 1960 წელთან შედარებით, როცა ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა გადაიღო თ. ვირსალაძის მონოგრაფიაში გამოქვეყნებული შავ-თეთრი ფოტოები, ფერწერული ანსამბლი საკმაოდ ნაკლული სახით წარმოგვიდგება.

თუ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ცნობებს, 1960 წლის ექსპედიციის მასალებს და დღეისათვის ტაძარში შემორჩენილ ფრაგმენტებს შევაჯერებთ, ჯვრის მონასტრის ტაძრის მოხატულობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

საკურთხევლის აფსიდში მოხატულობა არ შემორჩა, თუმცა მის ზედა ნაწილში გაჭრილი სამი სარკმლის თავზე და მათ შორის გაირჩევა ფრონტალურად მდგომ ფიგურათა მკრთალი "აჩრდილები", რომელთა იდენტიფიცირება შესაძლოა მოხერხდეს ხარაჩოებიდან ძლიერი განათებით დათვალიერებისას.

6. თეოდოსე მანგლელი რევიშვილი. XVII ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

საკურთხევლის ბემის ჯვრულ კამარაზე გამოსახული იყო ღმრთისმშობლის ციკლი: ამჟამად მკრთალად გაირჩევა "იოაკიმეს ხარებისა" და "ანას ხარების" კომპოზიციები ჩრდილოეთ მხარეს და საკმაოდ კარგად - "ტაძრად მიყვანება" ბემის სამხრეთი კედლის ზედა ნაწილში (XVII ს.). ბემის ჩრდილოეთ კედელზე, ზედა რეგისტრში "მარიამის დიდების" სცენაა (XVII ს.), რომლის ქვეშ რამდენიმე რიგად ღრუბლების ზოლებით გამოყოფილი მართალთა ნახევარფიგურებია (XVII ს.). ძველი აღწერებით, ბემაში გამოსახული იყო ჯვრის ისტორიასთან დაკავშირებული რამდენიმე სცენა ("ლოტისათვის სამი რტოს გადაცემა აბრაამის მიერ", "ელენე დედოფლის მიერ ჯვრის მოპოვება"), რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს.

საკურთხევლის პილასტრების დასავლეთ (დარბაზისაკენ მიმართულ) წახნაგებზე გამოსახულია ფეხზე მდგომი ღმრთისმშობელი ოდიგიტრია (XIV ს. საკურთხევლიდან მარცხნივ), ხოლო მარჯვნივ კი – ქრისტე-პანტოკრატორი (XIV ს.), რომლის ფერხთით მიხატული იყო მარიამ დედოფლის ამჟამად ნაწილობრივ "ამოჭრილი" ფიგურა (XVII ს.). ჩრდილოეთი და სამხრეთი საბჯენი თაღების აღმოსავლეთ კალთებზე (ანუ კვლავ საკურთხევლის ორსავ მხარეს) გამოსახული იყო "ხარება" – ანგელოზი მარცხნივ, ღმრთისმშობელი მარჯვნივ (XVII ს.). აღმოსავლეთი საბჯენი თაღის სოფიტში ჩრდილო კალთაზე შემორჩენილია მამამთავარ იუდას ფიგურა და "იაკობის კიბე" სამხრეთ კალთაზე (XVII ს.). საკურთხევლის პილასტრების "შიდა" წახნაგებზე გამოსახულია დიაკვანი. ბემის კედელზე წმ. გერასიმეა ფერხთით ლომის ფიგურით (XVII. ს). ამ რიგში, ეტყობა, ეკლესიის მამები იყვნენ გამოსახულნი.

ჩრდილოეთი საბჯენი თაღის დასავლეთის კალთაზე წარმოდგენილია წინასწარმეტყველი სოფონია (XVII ს.). დასავლეთი საბჯენი თაღის სოფიტში – მედალიონების რიგი წმინდანთა

7. მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა. XIV ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

8. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის სამხრეთ წახნაგის მოხატულობა. VII ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

ნახევარფიგურებით. სადიაკვნეს თაღში გამოსახული იყო "მოგვთა თაყვანისცემა" (ამჟამად აღარ არსებობს).

გუმბათში იყო პანტოკრატორი (აღარ არის). საუფლო დღესასწაულთა ციკლი და, შესაძლოა, სხვა ციკლებიც, რომლებიც სავარუდოდ ამკობდა კამარებსა და კედლებს, ძველ აღწერებშიც არ არის დამოწმებული.

დასავლეთ კედელზე, კარის მართკუთხა "ტიმპანის" ცენტრში მედალიონში გამოსახულია ოდიგიტრიის ნახევარფიგურა, მის ქვემოთ – "უფლის ხელი მართალთა სულებით", ტიმპანის თავზე, კარის ჰორიზონტალურ წირთხლში, ორი, მარიამისაკენ მფრინავი ანგელოზის ფიგურა. ოდიგიტრიის ორსავ მხარეს გრაგნილებზე დიდი ზომის ქართული და ბერძნული სამშენებლო წარწერებია, რომლებშიც ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა არის მოხსენიებული. ამ კარის გვერდით, ჩრდილოეთით, წმ. სოლომონი, სამხრეთით წმ. კონსტანტინესა და წმ. ელენეს გამოსახულებები იყო (ამჟამად არ არსებობს). კარის სამხრეთ წირთხლში გამოსახულია ორანტის პოზაში, სანთლებით ხელში მდგომი ფიგურა, ახვეული თვალებით და გოლგოთის ჯვრით თავს უკან, სავარუდოდ, იოანე ლაზი, პეტრე იბერის თანამოსაგრე. კარის მარჯვნივ პეტრე იბერის ფრონტალური ფიგურაა. ყველა ეს გამოსახულება XVII ს-ში არის შესრულებული.

9. წმ. მიქაელ მთავარანგელოზი. XIV ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

დასავლეთ კედლის სამხრეთ პილასტრზე გამოსახული არიან ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები (XVII ს.).

დასავლეთ კედელზე გამოსახული იყო ქართველ ქტიტორთა რიგი, რომელშიც, აღწერებით, შედიოდნენ წმ. მირიან მეფე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ IV; დასავლეთ კარის თავზე გამოსახული იყო გიორგი-პროხორე – ტაძრის აღმშენებელი. ამავე კედლის კიდურა ნაწილებში გამოსახულნი იყვნენ პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეები და ჯვრის მონასტრის ძმობის "ჯგუფური" პორტრეტი. ისტორიულ პირთა ეს გამოსახულებები ამჟამად მთლიანად გამქრალია. სამხრეთ კედელზე გამოსახული იყო ლევან დადიანი ოჯახით. ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულნი იყვნენ: ექვთიმე გრძელიძე, არსენ ვაჩესძე, იოანე ჭიმჭიმელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. ეს გამოსახულებებიც ამჟამად გამქრალია. ყველა ეს ისტორიული პირი, როგორც ჩანს, მთელი ტანით იყო წარმოდგენილი, წმინდანების ფიგურათა დარად, განსხვავებით ბურჯებზე, წმინდანთა ფერხთით გამოსახული ვოტივური პორტრეტებისაგან.

დასავლეთ მკლავის თაღში ოთხი წმ. ასურელი მამა იყო გამოსახული (ამჟამად აღარ არის).

ყველაზე უკეთაა შემორჩენილი ბურჯების მოხატულობა. ბურჯების კომპოზიცია სამნაწილიანია: ცენტრალური გამოსახულება წყვილადი ფიგურებით; მათ ზემოთ ხან ნახევარფიგურები, ხანაც მთელი სცენები, რომლებიც თაღების სოფიტებზე ან კედლის სიბრტყეებზე გადადის; ქვედა ნაწილში მსხვილი ორნამენტული კომპოზიციებია.

<u>სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯი</u>:

ამჟამად ამ ბურჯის მოხატულობა აღარ არის თავის ადგილზე. ტაძარში დარჩენილია მხოლოდ ბურჯის დასავლეთ წახნაგის კომპოზიცია: წმ. საბასა და წმ. ექვთიმეს ფიგურები, რომელთა ფერხთით გამოსახულია გრიგოლ არსენავრი ძითურთ (XVI ს.). მათ ზემოთ წმ. ბასილისა და წმ. იოანე ოქროპირის ნახევარფიგურებია (XVI ს.). ეს ფრაგმენტი, ახალ საფუძველზე გადატანილი და ლითონის ჩარჩოში ჩასმული, სამხრეთ კედელზე კიდია. ქვედა რეგისტრში იყო კომპოზიცია "სიბრძნემ იშენა თავისი თვისასა სახლი", რომელიც ამჟამად ჩამოხსნილია და მონასტერში ინახება.

აღმოსავლეთის წახნაგზე – წმ. ლუკა და წმ. პროხორე, (XVII ს., ამჟამად საქართველოში ინახება, სვეტიცხოველის ტაძარში), მათ ზემოთ "მაცხოვრის ცდუნება ეშმაკის მიერ" (აღარ არსებობს);

სამხრეთ წახნაგზე – წმ. სებასტიანი, (XVII ს., კომპოზიციის ზედა ნაწილი ამჟამად საქართველოშია), მის ფერხთით კი – იოანე გურული (დაკარგულია);

ჩრდილოეთ წახნაგზე – ზედა რეგისტრში ელიას ამაღლება (XVII ს., ამჟამად საქართველოშია, თბილისის სიონის ტაძარში); შუა რეგისტრში, შესაძლოა, წმ. ელია და წმ. ელისე (XVII ს., ამჟამად საქართველოში, თბილისის სიონის ტაძარში);

<u>სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი:</u>

დასავლეთ წახნაგზე – წმ. პეტრე და წმ. პავლე და გაბრიელ პატრაძის ვოტივური გამოსახულება მათ ფერხთით (XVI ს.).

სამხრეთ წახნაგზე – ორი ერთნაირი ზომის კომპოზიცია – ზევით: წმ. მარკელი და წმ. იაკობ სპარსი; ქვემოთ – უცნობი მარტვილი (წმ. არტემი?) და თეოდოსი მანგლელი, რევიშვილი (ამ ადგილას თ. ვირსალაძის ნაშრომში მითითებულია წმ. არტემი და წმ. თეოდორე სტუდიელი, მათ ფერხთით კი თეოდოსე მანგლელი) (XVII ს.).

აღმოსავლეთ წახნაგზე – წმ. მაქსიმე აღმსარებელი და წმ. იოანე დამასკელია შოთა რუსთაველის ვოტივური ფიგურით მათ ფერხთით (XVI ს.); ზედა, ვიწრო რეგისტრში – წმ. მიქელ სინელისა და წმ. ნიკიტას ნახევარფიგურები (XVII ს).

ჩრდილოეთ წახნაგზე – წმ. გიორგი და წმ. თევდორე, მთელი ტანით; ქვედა რეგისტრში – წმ. დემეტრე და წმ. ნესტორი, ასევე მთელი ტანით (XVII ს.).

<u>ჩრდილო-დასავლეთი ბურჯი</u>

დასავლეთ წახნაგზე – მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა (XIV ს.);

სამხრეთ წახნაგზე – მთავარანგელოზთა კრება; ზედა რეგისტრში – "უძილი თვალი" (XIV ს.);

აღმოსავლეთ წახნაგზე – წმ. კირილე ალექსანდრიელი და წმ. ათანასე დიდი (XIV ს., თ. ვირსალაძის წიგნში დასახელებულია წმ. ქრისტეფორე);

მათ ზემოთ, ვიწრო რეგისტრში წმ. მოკიას (?) და მის ზემოთ (ფაქტობრივად თაღის სოფიტში) წმ. თეოდოსის ნახევარფიგურებია (XVII ს.).

ჩრდილოეთ წახნაგზე – წმ. პახომი ანგელოზის წინაშე, ზემოთ – წმ. მენელსაცხებლე დედების ორი ნახევარფიგურა (XVII ს., დარჩენილია ერთი, მარიამი), .

<u>ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯი.</u>

აღმოსავლეთ წახნაგზე – წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და დანიელ წინასწარმეტყველი (XIV ს.); მათ ქვეშ – წმ. სერაპიონი (XVII ს.); აქვეა 48-ე ფსალმუნის ტექსტი. ამ წახნაგის ზედა ნაწილზე ჩამოდის ნაწილობრივ თაღის სოფიტში გამოსახული სცენა "დანიელი ლომთა ხაროში" (XVII ს.).

სამხრეთ წახნაგზე – წმ. წინასწარმეტყველები დავითი და სოლომონი (XIVს.); მათ ზემოთ "აბრაამის მსხვერპლშეწირვა" (XIV ს.);

აღმოსავლეთ წახნაგზე – წმ. ზაქარია და წმ. იოანე ნათლისმცემელი (XIV ს.). ზედა რეგისტრში – "წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა" (XIV ს.)

ჩრდილოეთ წახნაგზე – წმ. ათანასე ათონელი და წმ. ისიდორე პელუზელი (XIV ს.), მათ ზემოთ წმ. ქრისტინეს და წმ. მარიამ მაგდალელის ნახევარფიგურები (XVII ს.).

ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯებს შორის თაღის სოფიტში გამოსახულია "დანიელი ლომთა ხაროში" და წმ. თეოდოსის ნახევარფიგურა, ხოლო თაღს ზემოთ, დარბაზის ცენტრისაკენ მიმართულ სამკუთხა არეებზე – წმ. რუფინუსი და წმ. სილოანოსი (XVII ს.).

გარდა ზემოაღნიშნული გამოსახულებებისა, ძველი აღწერებით ტაძრის ბურჯებზე იყო კიდევ რამდენიმე ვოტივური პორტრეტი, რომელთა თავდაპირველი ადგილმდებარეობა გაურკვეველია, ხოლო თვით გამოსახულებანი ამჟამად აღარ არსებობს: აფხაზეთის კათოლიკოსი მაქსიმე, ელისე თბილელი, თვით ნიკიფორე ჩოლოყაშვილი.

ა. ბაუმშტარკის ცნობით, ტაძრის ერთ-ერთ მინაშენში შემორჩენილი იყო ბერძენ ფილოსოფოსთა პორტრეტები, რომლებიც ამჟამად არსად ჩანს.

მოხატულობის სხვადასხვა დროს შესრულებულ ნაწილებს შორის მკაფიოდ ჩანს ბათქაშის ნაკერები (მაგ., სამხრეთ-დასავლეთ ბურჯზე, იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფიგურები და მათ ზემოთ გამოსახული ეკლესიის მამათა ნახევარფიგურები უდავოდ სხვადასხვა ბათქაშზეა შესრულებული, ისევე, როგორც – წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და დანიელ წინასწარმეტყველი და მათ ქვემოთ გამოსახული წმ. სერაპიონი ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯზე და სხვ.). ბევრგან გაირჩევა გვიანდელ უხეშ განახლებათა კვალი (მაგ., "წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის" კომპოზიციაში, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის გამოსახულებებზე და სხვ.). რამდენიმე ადგილას, მოხატულობის ამომტვრეულ ადგილებში ჩანს დაფერილი ბათქაშის ქვედა ფენები. შოთა რუსთაველის წარწერის ქვეშ ნათლად ჩანს უფრო ადრინდელი ქართული წარწერის კვალი.

ფერწერულმა ანსამბლმა XX ს-ის განმავლობაშიც საგრძნობი ცვლილებები განიცადა.

10. ღვთისმშობელი ოდიგიტრია. XIV ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

11. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ჩრდილოეთ წახნაგის მოხატულობა. XVII ს. (ფოტო დ. ცხადაძის)

ნიშანდობლივია, რომ ქართული წარწერები მრავალგზის იყო დაფარული საღებავით და შენაცვლებული ბერძნული წარწერებით. მაგ., 1901 წლის ფოტოზე "მთავარანგელოზთა კრების" კომპოზიციაზე არის ქართული წარწერები, 1960 წლის ფოტოებზე აქ ბერძნული წარწერებია, ხოლო გაწმენდის მერე კვლავ ქართული წარწერა გამოჩნდა, ისევე, როგორც "უძილი თვალის" გამოსახულებაზე. ბევრ ადგილას (მაგ., წმ. ლუკასა და წმ. პროხორეს ფიგურებთან) ამჟამად არსებული ბერძნული წარწერების ქვეშ ნათლად გამოსჭვივის ქართული ასოების მოხაზულობანი. ცნობილია, რომ XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს ბერძნული საპატრიარქოს დაკვეთით ფრესკები "რესტავრირებულ" იქნა, უფრო სწორად, მათ "დასრულებული" სახე მიეცათ, რითიც ორიგინალური მხატვრობის ბევრი ნიშანი წაიშალა.

ასე რომ, ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობა საკმაოდ რთულ და მრავალგვარ პრობლემებს აყენებს მკვლევართა წინაშე. მომავალში შესასწავლი და გამოსაკვლევია შემდეგი საკითხები:

1. ფერწერული ფენების რაოდენობა;
2. ყველა ფერწერული ფენის თარიღი;
3. ვოტივურ გამოსახულებათა იდენტიფიკაცია;
4. ვოტივურ გამოსახულებათა დათარიღება;
5. შოთა რუსთაველის პორტრეტის იდენტიფიკაცია და დათარიღება;
6. ფერწერის მიკუთვნება კონკრეტული კულტურული წრისადმი (ქართული? ბერძნული? პალესტინური?)
7. ფერწერული ანსამბლის პროგრამა, მისი შესაძლო მიმართება თავდაპირველ (XI ან XIV სს.) მხატვრობის პროგრამასთან და საკუთრივ წმინდა მიწის ტრადიციებთან;
8. კედლის მხატვრობის შესრულების თარიღების მიმართება მონასტრის ისტორიასთან;
9. ეპიგრაფიკული მასალის მონაცემები;
10. კრიპტაში შენახული ფრაგმენტების შესწავლა-გამოვლენა;
11. მოხატულობის პროგრამის ზოგი ნაწილის მიმართება დასავლურ (ჯვაროსნული პერიოდის) კულტურასთან;
12. მონასტერში დაცული ხატების შესწავლა.

ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტებისა და დოკუმენტების შემდგომი კვლევა, მხატვრობის ტექნიკური შესწავლა, აგრეთვე ეპიგრაფიკული მასალის სათანადო ანალიზი, ალბათ, მეტ ნათელს მოჰფენს ამ საკითხებს.

დღეისათვის დადგენილია პრობლემების წრე, წამოყენებულია რამდენიმე ჰიპოთეზა, რაც მთავარია, გაკეთებულია საფუძვლიანი აღწერა, გრაფიკული და ფოტო-ფიქსაცია. ყოველივე ეს ქმნის საფუძველს სათანადო სახელოვნებათმცოდნეო კვლევისათვის, რომელიც, იმედი გვაქვს, უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ.

12. შოთა რუსთაველის პორტრეტი. (ფოტო დ. ცხადაძის)